

**ტექნოგენური დამაბინძურებლების, მათ შორის მდგრადი ორგანული
ნივთიერებების (Trans POPs) ნარჩენების გეოგრაფიული გავრცელება ქვემო ქართლის
ნიადაგებში**

ილია კალანდაძე,

ელ.ფოსტა: ilia.kalandadze@ens.tsu.edu.ge;

*გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი*

გარემოს დაცვის პრობლემური საკითხების გადაწყვეტა დაკავშირებულია ამა თუ იმ ქვეყნის სამეცნიერო, ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებთან. დღითი დღე გროვდება გარემოს ამა თუ იმ ობიექტში სულ უფრო მეტი გამაჭუჭყიანებელი ნივთიერება, რომელთა ნაწილი არ იღებს მონაწილეობას ბუნებრივ წრებრუნვაში და გროვდება ბიოსფეროში, რაც არასახარბელო ეკოლოგიურ შედეგებს იწვევს.

თემაში აღწერილია ის საკითხები, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს. ქვემო ქართლის რეგიონი სოფლის მეურნეობის წარმოების კუთხით საკმაოდ დატვირთული რეგიონია. ხელსაყრელი კლიმატური და ნაყოფიერი ნიადაგების წყალობით წელიწადში სამი-ოთხი მოსავალი მოჰყავთ. ამის პარალელურად რეგიონში ფიტოსანიტარული მდგომარეობა საკმაოდ დატვირთულია, რაც თავის მხრივ განაპირობებს სხვადასხვა დანიშნულების პესტიციდების გამოყენებას. აღნიშნულ რეგიონში გამოვყოფდით ბოლნისის მუნიციპალიტეტს, რომელიც ინდუსტრიულად ისედაც დატვირთულია და გარემოს მდგომარეობა უკიდურესად დამაბული. საბჭოთა დროში მთელი რესპუბლიკის მასშტაბით განფენილი იყო სხვადასხვა შხამ-ქიმიკატებისა და ქიმიური სასუქების შესანახი საწყობები. აღნიშნული საწყობები დღეს აღარ არსებობს. მის ადგილზე შემორჩენილია ნანგრევები, ზოგიერთ ადგილას ძველი შენობები გარემონტებული აქვთ და იყენებენ საცხოვრებლად, საქონლის სადგომად, მარცვლეულის საწყობებად და სხვა. რაც შეეხება პესტიციდების ნარჩენებს, იგი მიმოხეულია გარშემო, გადარეცხილია ან ჩარეცხილია ნიადაგში ზედაპირული და სარწყავი წყლებით, ზოგიერთი ადგილიდან კი გატანილია იალღუჯას სპეციალურ სამარხში. სხვა მრავალ პესტიციდთან ერთად გაბნეულია დდტ-ც, ძლიერმომწავლელი და მდგრადი ორგანული დამაბინძურებელი. მისი ნახევრად დაშლის პერიოდი 120 წელია, გარემოში გავრცელება კი მასშტაბური. ამიტომ პესტიციდებით დაბინძურებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთელს მსოფლიოში.

ნაშრომში განხილულია ასევე დაბინძურებული გარემოს აღდგენისა და პრევენციული ღონისძიებები.